

**საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის
2019 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობის ანგარიში**

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წლის 30 დეკემბერს დამტკიცებულ სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიაში წარმოდგენილია როგორც განათლების, ისე - კულტურისა და სპორტის მიმართულებებით.

სტრატეგიის 2019 წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული 18 აქტივობა გულისხმობს როგორც სხვადასხვა სოციალური სერვისის უზრუნველყოფას სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის – განათლების, კულტურის, სპორტის მიმართულებით, ისე - საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული სივრცეების ინფრასტრუქტურის განვითარებასა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციას.

აღსანიშნავია, რომ წინა წლებთან შედარებით, სამინისტროს აქტივობათა რაოდენობა 20-დან 18-მდე შემცირდა, სამინისტროს სტრუქტურული ერთეულის - ახალგაზრდობის მართვის პოლიტიკის დეპარტამენტის გაუქმებისა და, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს დაფუძნების შედეგად. შესაბამისად, სამინისტროს კომპეტენციაში 2018 წლის ჩათვლით არსებული 2 აქტივობა სოფლად ახალგაზრდობის ხელშეწყობის მიმართულებით 2019 წლიდან აღნიშნული სააგენტოს კომპეტენციას წარმოადგენს.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული აქტივობები სოფლის განვითარების სტრატეგიის სამი სტრატეგიული პრიორიტეტული სფეროდან (ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა, სოციალური პირობები და ცხოვრების დონე, გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა) ორშია წარმოდგენილი: 1. ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა და 2. სოციალური პირობები და ცხოვრების დონე.

სამინისტროს მიერ სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული 18 აქტივობის საპროგნოზო ბიუჯეტი 105,998,000 ლარი იყო, საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქტივობათა ჯამურმა ფაქტობრივმა ბიუჯეტმა 85,973,880 ლარი შეადგინა.

2019 წლისათვის სამინისტროს პასუხისმგებლობას მიკუთვნებული აქტივობების ძირითადი მაჩვენებლები:

ამოცანა	აქტივობა	საპროგნოზო ბიუჯეტი 2019 წელი (ლარი)	ფაქტიური შესრულება 2019 წელი (ლარი)
ამოცანა 1.3 სოფლად	1.3.3. რეგიონებში	1,517,000	1,679,036.18

ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება სოფლის სპეციფიკისა და უნიკალური კულტურული იდენტობის საფუძველზე	კულტურის მხარდაჭერა		
	1.3.4. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა	3,101,000	14,198,767
	1.3.5. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა	983,000	1,159,000
ამოცანა 2.1 ცნობიერების ამაღლება ინოვაციების და მეწარმეობის მიმართულებით. ასევე, თანამშრომლობის წახალისება უნარ-ჩვევების განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობით (განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და ქალებისათვის)	2.1.2 პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება	9,000	25,000
	2.1.3 პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა	5,800,000	8,088,426
	2.1.4 ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადება	2,205,000	2,320,830
	2.1.8 ხელოვნების განვითარების ღონისძიებები	4,248,000	3,040,716
	2.1.9 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	480,000	479,708
ამოცანა 2.2 ინფრასტრუქტურა და სერვისები. სოფლის ძირითადი ინფრასტრუქტურის (მათ შორის კულტურული მემკვიდრეობების ძეგლებამდე მიმავალი გზებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის) გაუმჯობესება და ხარისხიანი სახელმწიფო სერვისებით	2.2.1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება	40,761,000	21,061,597
	2.2.2 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება	2,090,000	4,258,355
	2.2.3 საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა	20,100,000	24,664,509

სარგებლობის ხელმისაწვდომობა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩათვლით.	2.2.4 საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა	2,000,000	3,582,146
	2.2.5 მოსწავლეთათვის ფსიქო-სოციალური მომსახურების უზრუნველყოფა;	534,000	აქტივობა განხორციელდა ადმინისტრაციული რესურსით
	2.2.6 მოსწავლეებისთვის სხვადასხვა ტიპის ბანაკების შეთავაზება	1,300,000	986,000
	2.2.7 საინტერესო და სახალისო გარემოს შექმნისა და საჯარო სკოლების გაძლიერების მიზნით სასკოლო აქტივობების ხელშეწყობა	400,000	187,630
	2.2.10 საქართველოს რეგიონებში გარე სავარჯიშო მოწყობილობების მონტაჟი	220,000	0
	2.2.11 სპორტის ინფრასტრუქტურის განვითარება	20,000,000	0
	2.2.12 მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელებისთვის ფინანსური დახმარება	250,000	242,160
		105,998,000	85,973,880

2018-2019 წლებში, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებმა (სოფლად რეგისტრირებულმა პირებმა) შეადგინა 4,571. 2017 წელს მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებმა (სოფლად რეგისტრირებულმა პირებმა) შეადგინა 474.

2018-2019 წლებში, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით განხორციელებულ პროგრამებზე ჩაირიცხა 519 პირი (სოფლად რეგისტრირებული).

დეტალური ინფორმაცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აქტივობების შესრულებასთან დაკავშირებით ასევე მოცემულია „საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის 2019 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშში“.